შრომის უსაფრთხოების მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამაზე
შიდა საგრანტო ტესტის შესახებ

ტესტი მოიცავს ლოგიკური და რაოდენობრივი ანალიზის ტიპის კითხვებს, ასევე შრომით ურთიერთობებთან და შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული კითხვებს.

ტესტი ფასდება 50 ქულიანი სისტემით.

- ლოგიკური მსჯელობა - 15 კითხვა
- რადონობრივი მსჯელობა - 15 კითხვა
- შრომითი ურთიერთობები - 10 კითხვა
- შრომის უსაფრთხოება - 10 კითხვა

ტესტირების დრო: 1 სთ 30 წთ.

კითხვების ნიმუშები

<u>ლოგიკური მსჯელობა</u>

1. მოცემულია პირობითი დებულება: "ყველა პირველკურსელი სწავლობს ბიოლოგიას." ჩამოთვლილთაგან რომელი დებულებაა თავსებადი მოცემულ პირობასთან?

ა) მხოლოდ პირველკურსელები სწავლობენ ბიოლოგიას.
ბ) ზოგიერთი სტუდენტი, რომელიც სწავლობს ბიოლოგიას, არ არის პირველკურ სელი.
გ) არცერთი მეორეკურსელი არ სწავლობს ბიოლოგიას.
დ) არსებობს პირველკურსელი, რომელიც არ სწავლობს ბიოლოგიას.

2. მოცემულია პირობითი დებულება: "თუ პროექტი დაფინანსდა, მაშინ ის წარმატებული იქნება." ჩამოთვლილთაგან რომელი დებულება არ არის ამ დებულების ლოგიკურად ექვივალენტური?

ა) თუ პროექტი არ არის წარმატებული, მაშინ ის არ დაფინანსებულა.
ბ) თუ პროექტი წარმატებულია, მაშინ ის დაფინანსდა.
გ) პროექტი არ დაფინანსდა ან ის წარმატებულია.
დ) არ არსებობს პროექტი, რომელიც დაფინანსდა და არ არის წარმატებული.

<u>რაოდენობრივი მსჯელობა</u>

3. შედარება:
- I რაოდენობა: რიცხვის 20%
- II რაოდენობა: პროდუქტის საბოლოო გაძვირების პროცენტი, თუ მისი ფასი ჯერ გაიზარდა 10%-ით, ხოლო შემდეგ ახალი ფასი კიდევ გაიზარდა 10%-ით.
რომელი დებულებაა სწორი?
ა) I რაოდენობა მეტია II რაოდენობაზე.
ბ) II რაოდენობა მეტია I რაოდენობაზე.
გ) ორივე რაოდენობა ტოლია.
დ) მოცემული ინფორმაცია საკმარისი არ არის შესადარებლად.

4. აუზის ავსება პირველ მილს შეუძლია 8 საათში, ხოლო მეორე მილს 12 საათში. რამ დენ საათში აივსება ცარიელი აუზი, თუ ორივე მილს ერთდროულად გავხსნით?

ა) 4.8 საათში

ბ) 5 საათში

გ) 5.2 საათში

დ) 6 საათში

<u>შრომითი ურთიერთობები და შრომის უსაფრთოება</u>

1. რა არის ნორმირებული სამუშაო დროის მაქსიმალური ხანგრძლივობა კვირაში ზოგადი წესის მიხედვით?

ა) 36 საათი

ბ) 40 საათი

გ) 44 საათი

დ) 50 საათი

2. დასაქმებულმა კვირის განავლობაში იმუშავა 49 საათი. დამსაქმებელმა განაცხადა, რომ 40 საათის ზევით ნამუშევარი 9 საათი ჩვეულებრივი ტარიფით ანაზღაურდება, რადგან წინასწარი წერილობითი შეთანხმება ზეგანაკვეთურზე არ არსებობდა. მართალია თუ არა დამსაქმებელი?

ა) მართალია, შეთანხმების გარეშე ზეგანაკვეთური არ ანაზღაურდება

ბ) არ არის მართალი, 40 საათზე მეტი ნამუშევარი დრო წარმოადგენს ზეგანაკვეთურ სამუშაოს და უნდა ანაზღაურდეს გაზრდილი საათობრივი განაკვეთით

გ) მართალია, რადგან კვირაში 49 საათამდე მუშაობა ყოველთვის ნებადართულია

დ) არ არის მართალი, რადგან დამსაქმებელი ვალდებულია 9 საათის სანაცვლოდ მისცეს 3 დღის დასვენება

3. ვისზე ვრცელდება ორგანული კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“?

ა) მხოლოდ მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან საწარმოებზე

ბ) ეკონომიკური საქმიანობის ყველა დარგზე, მათ შორის კერძო და საჯარო სექტორზე

გ) მხოლოდ კერძო სამართლის იურიდიულ პირებზე

დ) მხოლოდ იმ ორგანიზაციებზე, სადაც 20-ზე მეტი დასაქმებულია

4. მშენებლობაზე დასაქმებულმა გიორგიმ შეამჩნია, რომ სამშენებლო ხარაჩოს აკლია დამცავი მოაჯირი და არსებობს სიმაღლიდან ჩამოვარდნის აშკარა და არსებითი საფრთხე. მან უარი თქვა ხარაჩოზე ასვლაზე და მუშაობაზე, რის გამოც დამსაქმებელმა მას ხელფასი დაუქვითა გაცდენილი საათებისთვის. შეაფასეთ მხარეთა ქმედებები:

ა) გიორგის ქმედება უკანონოა, მას არ ჰქონდა მუშაობაზე უარის თქმის უფლება

ბ) გიორგის ქმედება კანონიერია, მას უფლება აქვს უარი თქვას სამუშაოზე, რომელიც აშკარა საფრთხეს უქმნის სიცოცხლეს/ჯანმრთელობას, ხოლო დამსაქმებლის მიერ სანქციის დაკისრება/ არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩაყენება აკრძალულია

გ) დამსაქმებელი მართალია, რადგან უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი მხოლოდ შრომის ინსპექციაა

დ) გიორგის უფლება ჰქონდა უარი ეთქვა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შრომის ინსპექცია უკვე ჩაატარებდა შემოწმებას